



საქართველოს მთავრობის განკარგულება

№153 2015 წლის 5 თებერვალი ქ. თბილისი

საქართველოს მოსახლეობის ბუნებრივი გაზით მომარაგებისათვის საჭირო ღონისძიებების შესახებ

1. საქართველოს მოსახლეობის ბუნებრივი გაზით მომარაგების ღონისძიებების ხელშეწყობის მიზნით, შპს „საქართველოს გაზის ტრანსპორტირების კომპანია“ უზრუნველყოს შემდეგი პროექტების განხორციელება:

ა) ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის სოფლების: ბალთას, ბებურიანის, მირსკისეულის, ლელიანის, ქალქვა-ნამესრალის, ფოდაანის, ონანაურის, გვიმრიანის, ბაღდადის, ზემო ნაშოვარის, ზემო ბოლქვის, ქვემო ბოლქვის, არეშფერანის, ხოშატიანის, ქევხიანის, ლაფნიანის, ფიჩხისბოგირის, გუჯარეთის და ვერხვის მინდორის გაზიფიცირებისთვის საჭირო საპროექტო და სამშენებლო სამუშაოების შესრულება;

ბ) ქარელის მუნიციპალიტეტის სოფლების: ბერძენაულის, აბისის და აბისისთავის გაზიფიცირებისთვის საჭირო საპროექტო და სამშენებლო სამუშაოების შესრულება;

გ) კასპის მუნიციპალიტეტის სოფლების: ეზატის, გუდალეთის, თელადგორის და ქვემო ხანდაკის გაზიფიცირებისთვის საჭირო საპროექტო და სამშენებლო სამუშაოების შესრულება;

დ) ონის მუნიციპალიტეტში, სორი-ონის 12 კმ-იანი გაზსადენის, ქალაქ ონის და ონის მუნიციპალიტეტის სოფლების: ხურუთის, ლაჩთას, შეუბანის, ღარის და ნიგვზნარას გაზიფიცირებისთვის საჭირო საპროექტო და სამშენებლო სამუშაოების შესრულება;

ე) დუშეთის მუნიციპალიტეტის სოფლების: ზოტიკიანთკარის და შალიკიანთკარის გაზიფიცირებისთვის საჭირო საპროექტო და სამშენებლო სამუშაოების შესრულება;

ვ) ოზურგეთის მუნიციპალიტეტის დაბა ურეკის და სოფლების: ზემო ნატანების, ქვემო ნატანების და შეკვეთილის გაზიფიცირებისთვის საჭირო საპროექტო და სამშენებლო სამუშაოების შესრულება;

ზ) ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სოფელ გრიგოლეთის გაზიფიცირებისთვის საჭირო საპროექტო და სამშენებლო სამუშაოების შესრულება;

თ) ტყიბულის მუნიციპალიტეტის სოფელ მუხურას გაზიფიცირებისთვის საჭირო საპროექტო და სამშენებლო სამუშაოების შესრულება;

ი) წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ მაღლაკის გაზიფიცირებისთვის საჭირო საპროექტო და სამშენებლო სამუშაოების შესრულება;

კ) ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სოფლების: აჯამეთის, ზოგრეთის და პირველი სვირის გაზიფიცირებისთვის საჭირო საპროექტო და სამშენებლო სამუშაოების შესრულება;

ლ) აბაშის მუნიციპალიტეტის სოფლების: პირველი მაისის, გაუწყინარის, თხმელარის, მარანის, მარანჭალას და გუგუნაყათის (მარნის

თემი) გაზიფიცირებისთვის საჭირო საპროექტო და სამშენებლო სამუშაოების შესრულება;

მ) ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფლების: დარჩელის, ახალკახათის და კახათის გაზიფიცირებისთვის საჭირო საპროექტო და სამშენებლო სამუშაოების შესრულება;

ნ) დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის სოფლების: ჭოეთის, თავწყაროს, საბათლოს, ფიროსმანის, სამთაწყაროს, არხილოსკალოს, ქვემო ქედის და ზემო ქედის გაზიფიცირებისთვის საჭირო საპროექტო სამუშაოების შესრულება;

ო) ახმეტის მუნიციპალიტეტის სოფლების: ბაყილოვანის, საკობიანოს, ყვარელწყალის, დუისის, დედისფერულის, ჯოყოლოს, ბირკიანის, ხორბალოს, ქორეთის, წინუბანის, ზემო ხალაწანის, შუა ხალაწანის, ქვემო ხალაწანის, დუმასტურის და ომალოს (ჯოყოლოს თემი) გაზიფიცირებისთვის საჭირო საპროექტო სამუშაოების შესრულება.

2. ამ განკარგულების პირველი პუნქტით გათვალისწინებული სამუშაოების განხორციელების მიზნით, საქართველოს ენერჯეტიკის სამინისტრომ, „საქართველოს 2015 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონით მისთვის გამოყოფილი ასიგნებებიდან უზრუნველყოს შპს „საქართველოს გაზის ტრანსპორტირების კომპანიის“ კაპიტალის 20 000 000 (ოცი მილიონი) ლარით გაზრდა.

3. ეთხოვოთ ლაგოდეხის, ქარელის, კასპის, ონის, დუშეთის, ოზურგეთის, ლანჩხუთის, ტყიბულის, წყალტუბოს, ზესტაფონის, აბაშის და ზუგდიდის მუნიციპალიტეტების გამგეობებს, ამ განკარგულების პირველი პუნქტით გათვალისწინებული სამუშაოების ნებართვების გაცემის მიზნით საჭირო ქმედებების განხორციელება.

პრემიერ-მინისტრი

ნ.



ირაკლი ღარიბაშვილი